ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01191443846**
თარიღი: **24/05/2019**
პინი: **4964**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 20 მაისის #60-01191401771 წერილი და AR1670728 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ალექსანდრე სანაძის მომართვის საფუძველზე, შპს „ელესჯის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი ს.კ. #01.72.14.094.597) (სზ-5; ტზ-1) III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 14 ძირი მწვანე ნარგავი (5 ძირი მარადმწვანე მუხა, 5 ძირი იტალიური ფიჭვი, 4 ძირი მტირალა ტირიფი) სრულად ითვისებს კ3-0.2 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (300 კვ. მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, **ამდენად სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.**

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი